

**ცხოვრების უნარები და მორალური მსჯელობები როგორც დევიაციური  
ქცევის ფაქტორები**

**ელენე ბაჩიაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა  
და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების შესაბამისად*

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური  
ფსიქოლოგია): კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2016**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ბაჩიაშვილი, 2016 წელი

## აბსტრაქტი

მასობრივი ინფორმაციული მონაცემების საფუძველზე, მთელ მსოფლიოში გაახალგაზრდავდა დანაშაული და გახშირდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის შემთხვევები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით 2016 წლის თებერვალში მსჯავრდებული იყო 15 არასრულწლოვანი, რომელთა რაოდენობაც შეადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებული პირების 1,2 %-ს. საგულისხმოა, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულები რეგიონების მიხედვით სხვადასხვაგვარად ნაწილდებიან, კერძოდ, დიდი განსვლა აღინიშნება თბილისსა(20.0%) და კახეთს(6,7%) შორის. დევიაციური ქცევის სტატისტიკური განსხვავების საკვლევად მოცემულ კვლევაში შეფასდა მოზარდების ცხოვრების უნარები, როგორც ადაპტური ფუნქციონირების კომპეტენციები და მორალური მსჯელობების ტიპი, როგორც სოციალური კონტექსტის განმსაზღვრელი. აქედან გამომდინარე, კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისსა და კახეთში - ქალაქ თელავში. კვლევაში მონაწილეობდა 15-16 წლის 200 მოზარდი; მათგან 114 გოგონა და 86 ბიჭი. აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი და ორი ინსტრუმენტი: ეთიკური მოსაზრებების კითხვარი (Schlenker & Forsyth 1977) და პრეტორიის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ცხოვრების უნარების კითხვარი (life skills questionarione). შედეგების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ მორალური მსჯელობების ტიპის კვლევისას აღმოჩნდა, რომ მოზარდების ჯგუფისათვის დამახასიათებელია იდეალისტური მორალურ-ეთიკური მოსაზრებები. სქესებს შორის გოგონები ცალსახად იდეალისტები არიან, ხოლო მამრობითი სქესის მოზარდებში რელატივიზმისადმი ტენდენცია გამოვლინდა. მოცემულმა კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ ცხოვრების უნარების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება

თბილისსა და თელავში მცხოვრებ მოზარდებში, თუმცა განსხვავება გამოვლინდა თელავსა და თბილისს შორის ცხოვრების ეფექტურად ფუნქციონირებადი უნარების რაოდენობრივ მაჩვენებლებში, კერძოდ დადგინდა, რომ თბილისში მცხოვრებ მოზარდებთან შედარებით, თელავში მაცხოვრებელ მოზარდებს ცხოვრების უკეთესი უნარები აქვთ მენტალური ჯანმრთელობის, ჰუმანური წესების, საგზაო უსაფრთხოების, ლიდერობის, „მე“ კონცეფციის, ჯგუფის გავლენის, ფინანსური მენეჯმენტის, საკომუნიკაციო უნარების, დაძაბულობისა და განტვირთვის, სამსახურის მოძებნის და შენარჩუნების, კარიერის დაგეგმვის და განვითარების, სამსახურეობრივი ღირებულებების, პოლიტიკური ორიენტაციისა და ოჯახური განათლების სუბსკალებში. ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ თელავში მაცხოვრებელი მოზარდები ადაპტურობის კარგი უნარით ხასიათდებიან. სქესობრივი განსხვავების კუთხით, მოზარდ გოგონებს, თელავსა და თბილისში, ბიჭებთან შედარებით, უფრო ეფექტურად ფუნქციონირებადი ცხოვრების უნარები აქვთ, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს გოგონებისათვის დამახასიათებელი იდეალისტური მორალური მსჯელობების ტიპთან, რაც განაპირობებს მათ ადაპტურ ფუნქციონირებას. მოცემულმა კვლევამ გამოავლინა საინტერესო ურთიერთმიმართება მორალურ განვითარებასა და ცხოვრების უნარებს შორის, კერძოდ აღმოჩნდა, რომ თბილისში მაცხოვრებელ მოზარდებს, რომლებიც იდეალისტური მორალური პრინციპებით ოპერირებენ, ცხოვრების კარგი უნარები აქვთ. კვლევის მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ დევიაციური ქცევის სტატისტიკური მაჩვენებლის რეგიონალური განსხვავების მიზეზი შესაძლოა განპირობებულ იყოს როგორც ცხოვრების უნარების დეფიციტისა და მორალური განვითარების რომელიმე ტიპის კომბინაციით, ასევე თითოეული ფაქტორის ცალკ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობის შემთხვევაში.